№ 80

ხუთშაბათი, 16 აპრილი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 80

ხუთშაბათი, 16 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ტ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე " " . 60 "
მესამე " " . 60 "
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 "
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ, მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество.
(50—6.—21)



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის

## შულცე-ზენკოვსკისა,

რომელიც მოთავსებულია მირიმანოვის სახლში და ღია იქმნება მუდამ დღე 10 განყოფილება მხოლოდ ამ დღესასწაულ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ.

**საანატომიო განყოფილება**

ღიაა მხოლოდ დიდებისათვის. ქალებისათვის პარასკეობით, ხოლო მამაკაცებისათვის ყველა დანარჩენ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ.
(5—3)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2—11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მყურველთ ყვავილს აცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. შროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. შ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(ზ)

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა, 20 წარსულ მარტს, უმაღლესად კეთილ ინება და დაამტკიცა უქვეშევრდომილესი მოხსენება უწმ. სინოდისა იმის შესახებ, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი დანიშნულ იქმნას მოსკოვის სინოდის კანტორის წევრად, ხოლო საქართველოს საექსარხოსოს პირველი ვიკარი, გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე გადაყვანილ იქმნას გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად.

ხელმწიფე იმპერატორმა, 20 წარსულ მარტს, უმაღლესად კეთილ ინება და დაამტკიცა უწმ. სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება იმის შესახებ, რომ იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღვარს, არქიმანდრიტს ლეონიდეს ებოძოს გორის ეპისკოპოსობა, იმ პირობით, რომ სახელწოდება და ეპისკოპოსად კურთხევა ტფილისში მოხდეს.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ამა წლის 31 იანვარს უბოძა გზათა სამინისტროს უწყებაში მოსამსახურეთ: ორდენი წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხისა: ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მოსამსახურეს, აზნაურს ნესტორ სისორდიას, სადგურის „ფოთის" უფროს, აზნაურს სიმონ კარგარეთელს და „ხაშურის" სადგურის კასსირს, თავად სოლომონ ანჩაბაძეს, ოქროს მედალი, „ერთგულებისათვის" ზედწარწერით: ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ-კონდუქტორებს, სადგურებისა: „ტფილისისა"—აზნაურს ვასილ ლორთქიფანიძეს და „ფოთისა"—აზნაურს ალექსანდრე ხოპერიას; ვერცხლის მედალი სტანისლავის ლენტით გულზედ სატარებლად: „ყვირილის" დეპოს სარევიზიო ჩილინგდარს, ქუთაისის გუბერნიის გლეხს, იაკობ დეკაფოიძეს, გზის ოსტატებს: მე-2 ნაწილისა—იმავე გუბერნიის გლეხს ანდრია ნარსიას, მე-3 ნაწილისა—იმავე გუბერნიის გლეხს იოსებ ვარდასანიძეს, უფროს მუშებს: მე-2 ნაწილისა—ქუთაისის გუბერნიის გლეხებს-დათო ხაჩალავას და ანდრია ნადარაიას და მე-2 ნაწილის დარაჯს, იმავე გუბერნიის გლეხს სისო ბესოლიას.

ებოძათ პოდპორუჩიკობა: გრენადერთა მე-16 მინგრელიის რაზმის პოდპრაპორშჩიკს ჯახტანიძეს, ყაბარდინის მე-80 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს კავკასიძეს, ბაქოს მე-153 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს მელიას, კუბინის მე-155 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკებს: შუბლაძესა და იოსელიანს და განჯის მე—156 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს ლეკვინაძეს.

დანიშნულ იქმნენ ტფილისის გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელე ილია აფხაძე—იმავე სამმართველოს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად და ტფილისისავე გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელე ნიკოლოზ ჩხენიშვილი—იმავე სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ხვალ, 17 აპრილს, პირველ საათზედ, შესრულებულ იქმნება წესი ეპისკოპოსად სახელ წოდებისა არხიმანდრიტის ლეონიდისა, ხოლო მომავალ კვირას, წირვის დაწყების დროს, სიონის საკათედრო ეკკლესიაში აკურთხებენ გორის ეპისკოპოსად. ამ შემთხვევისათვის მოელიან კავკავის ეპისკოპოსს ვლადიმირსა და ალავერდის ეპისკოპოსს ბესარიონს. ეპისკოპოსად სახელ-წოდების წესს შეასრულებს საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე.

# ფელეტონი

**ნაწყვეტი**

თავმდაბლობს და გულ-კეთილობს
ბრძენი ჰქვით სახელოვანი,
იბღინძება და ამაყობს
უნიჭო ავ-სულოვანი.
ამოა ოდეს თავ-მდაბლობს
ჰქვით გმირი, ძალ-გულოვანი,
მძულს სიტყვით ლომი-მკვეხარა
და საქმეში-კი მკდოვანი!

დ. მაჩხანელი

## პრივატ-დოცენტი მარრი და მისი სამეცნიერო მეტოდი.

(მის პოლემიკის გამო აკაკისთან).

### I

„Вся ложная мудрость мерцаетъ и тлѣетъ
Передъ солнцемъ безсмертнымъ ума".

პუშკინი

„Не приведи Богъ служить по ученой части, всего боишься! Всякій мѣшается, всякому хочется показать, что онъ тоже умный человѣкъ".

გოგოლი

ვინც აქაურს რუსულ გაზეთებს კითხულობს, მათ, რასაკვირველ ა, გაიცნეს ვინა ბრძანებულა ბ-ნი ნ. მარრი, რა გამოჩენილი მეცნიერი... და ისიც რა მეცნიერი,—ხუმრობა საქმე ხომ არ არის,—არმენისტი! „ივერიის" მკითხველების წინაშე დანაშაულობად ჩაგვეთვლება, რომ მათაც არ გავაცნოთ ეს პირველ-ხარისხოვანი ვარსკვლავი მეცნიერებისა; მისი „მეცნიერულნი" შეხედულობანი ქართველებზე და სომხებზე, მათს ისტორიაზედ, ლიტერატურაზედ და ბოლოს... „ვეფხვის ტყაოსანზედაც". — ეს „ვეფხვის ტყაოსანი" საიდამ და რისთვის-ღა ჩასჩხირეს პოლემიკაშიო, იქნება იკითხოთ. ჩვენ და თქვენ ამას ვერ გავიგებთ, ბატონებო. ეს „მისის მეცნიერების", ე. ი. მარრის მეცნიერების საქმეა და მეცნიერს, ხომ მოგეხსენებათ, ყველა ეპატიება: მისი ბამბაც ჩხრიალებს იქ, სადაც სხვისა კაკალიც არა.

დიახ, მარრი ყოფილა მეცნიერი. არ იფიქროთ-კი, რომ ეს რწმენა ჩვენ დაგვიმკვიდრა მისმა პოლემიკამ, ანუ მისმა ადრინდელმა მეცნიერულმა წერილებმა. პოლემიკაზედ სიტყვა მერე იყოს და რაც შეეხება მისს წინანდელს „მეცნიერულ" წერილებს, მათი წამკითხველი იმ თავითვე, ვფიქრობთ, ერთი კაცი იქნებოდა—თვით ბ-ნი მარრი; ანუ იქნება ერთი-ორმა არმენისტმაც წაიკითხა. ამას თითონვე ჰმოწმობს. ჩემს ნაწერებს მხოლოდ მეცნიერი გაიგებსო; და მეცნიერები კიდევ, ხომ მოგეხსენებათ, სოკოები არ არიან, რომ ერთს წვიმის მოსვლაზედ ათასობით დაჰხეთქოს საცა გინდა და არ გინდა. მაშ როგორ და რა გზით გაიგეთ, რომ ბ-ნი ნ. მარრი მეცნიერიაო, კიდევაც მკითხავთ. რაკი ასე ჩამაცივდით, ამასაც მოგახსენებთ. სულ ადვილ ად: ნ. მარრი ისეთი მეცნიერი ყოფილა, რომ წამ და უწუმ სულ იმას გაიძახის, მე მეცნიერი ვარო. ოთხ სტრიქონს ისე ვერ დასწერს, რომ რვაჯერ არ ჩაგძახოთ ყურში: ჩემი მეცნიერება, ჩვენ მეცნიერნი, ჩვენს მეცნიერებაში, ჩვენი მეცნიერული შრომა, მხოლოდ მეცნიერი მიხვდება ამას, მეცნიერულად შესწავლილი მაქვს.

საწყალი ფილოსოფოსი სოკრატი! სიბერის დროსაც გაიძახოდა: მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიციო! აფსუს რომ ჩვენს დროში არა სცხოვრობს და არ ისწავლის ნ. მარრისაგან, როგორ უნდა სახელის გაკეთება.

ვიცი, არა გჯერათ, რომ ჭეშმარიტად ნასწავლი კაცი კაჰკაჰივით სულ იმას გაიძახდეს თავის თავის შესახებ, რომ მე მეცნიერი ვარო. ვიცი, თქვენა ჰფიქრობთ, რომ მე, როგორც ფელეტონისტი, უბრალოდ ვბღალავ დიდებულს სახელს ბ-ნ ნ. მარრისას. მაშ საბუთი? ინებეთ.

ბ-ნ ნ. მარრმა ორი პატარა წერილი დაბეჭდა „Новое Обозрѣніе"-ში აკაკის წინააღმდეგ. ამ ორ წერილში აი რამდენჯერ მოიხსენია თავისი თავი მეცნიერად: „ჩვენ არა გვაქვს არც დრო, არც ხალისი გავებაასოთ ხოლმე იმ პირთ, რომელთაც „ჩვენი მეცნიერება" ვერ იცნობსო" *); „გრენის მნიშვნელობაზედ „ჩვენს მეცნიერებაში" აქ არას ვიტყვით": „იგი შემოდის ძალად (აკაკიო) „ჩვენს სამეცნიერო" საგანში (область)"; „ეს სდგას გარეშე „ჩვენის სამეცნიერო" ინტერესებისა"; „თავადს (აკაკის) არა აქვს ამისთვის საჭირო „სამეცნიერო" მომზადება"; „ჩვენ უნდა მეცნიერულად დავამტკიცოთ, რომ „ვეფხვის ტყაოსანი" სპარსულიდგან არის ნათარგმნი; დედანის შესწავლა ჰბადებს ჩვენში „მეცნიერულ" რწმენას, რომ უეჭველად იგი ნათარგმნია", და სხვა, და სხვა.

ასეთს მარგალიტებს ძალიან ბევრს ჰპოებთ „მეცნიერებით" გატენილ ბ. მარრის „სამეცნიერო" ფელეტონებში.

იტყვით, ეს წვრილმანიაო. არა. ეს მთლად და სავსებით ახასიათებს ნ. მარრს, როგორც არა სერიოზულ სწავლულს. ჭეშმარიტი სწავლული არ საჭიროებს ასეთს რეკლამებს, ასეთ ბაზაზხანურ ქებას: აქეთ, აქეთ, მე მაქვს ნამდვილი საქონელიო! რა საჭიროა ბაზშური ტრაბახი, საქმენი თქვენი დაამტკიცებენ მეცნიერებასა თქვენსა.

ამას წინად თვით „Новое Обозрѣніе"-მ ძალიან მარილიანად დასცინა ერთს ახალგანდა ვექილს, როდესაც სთქვა: იურიდიულ საზოგადოების კრებაზედ წამოდგა ბ. № და ასე დაიწყოვო: მე „მეცნიერულად" უნდა გავარჩივო ბ. ფრენკელის რეფერატიო. ვწუხართ, რომ ასევე არ დასცინის იგივე გაზეთი თავისს პრივატ-დოცენტს. სამართლიანობა მოითხოვდა ბ. მარრსაც ასე მოჰპყრობოდნენ, მაგრამ... აქ საქმე სხვა ნაირად გახლავთ, და არც ერთს მართლმორწმუნე სომეხს ენა არ მოუბრუნდება სთქვას ნ. მარრიზედ მწარე სიმართლე. ეს ამ „მეცნიერსაც" კარგად მოეხსენება.

ბ. ნ. მარრი დიდის ტრაბახით იხსენიებს „თავისს მეცნიერებას", სულ ტუჩებზედ სიამოვნების ნერწყო მოსდის, როცა გააპტყელებს ხოლმე: „ჩვენი მეცნიერება", მე არმენისტი გახლავართ, ძალად გვივარდებიან უვიცნი პირნი ჩვენს მეცნიერებაში .. და სხვა. აქ ბატონი მეცნიერი დიდად შემცდარი ბძანდება. ესა თუ ის დარგი მეცნიერებისა ხშირად წაუწევიათ წინ არა მისებურ ვიწრო შუბლიან სპეციალისტებს, არამედ ბუნებით ნიჭიერსა და ფართოდ გონება გახსნილ კაცებს. ამისი მაგალი-

*) რუსულად ეს: „Лицъ, совершенно невѣдомыхъ нашей наукѣ".

*** უმაღლესის ბრძანების თანხმად, ჩერნომორსკის გუბერნიაში არსდება საგანგებო კომისია, რომელსაც საგნად ექმნება რუსეთიდგან გადმოსახლებულთ მიწები მისცეს ამ გუბერნიაში. კომისიის წევრებად იქმნებიან მიწის მზომლები და აგრონომი კრაევსკი, მიწად-მოქმედების მინისტრის მოხელე.

*** როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, ამ სამის თვის განმავლობაში ქალაქის ღამის თავ შესაფარებში ყოფილა: იანვარში—2,809 კაცი და 61 ქალი, მათ შორის რუსი—1,797 კაცი და 28 ქალი, ქართველი—95 კაცი და 29 ქალია, სომეხი—897 კაცი და 4 ქალი, ხოლო დანარჩენნი—სხვა ეროვნებისანი იყვნენ; თებერვალში—2,660 კაცი და 144 ქალი, მათ შორის რუსი—1,599, ქართველი—155, სომეხი—1,007; მარტში: 2,578 კაცი და 128 ქალი, მათ შორის რუსი—1.326, სომეხი—1,174 და ქართველი—161.

*** ამ ჟამად პროექტი იმ საზოგადოების წესდებისა, რომელიც დაარსდა ქ. ტფილისში დედათა კურსებისა და დედათა სამკურნალო ინსტიტუტის მოსწავლეთა დასახმარებლად, ტფილისის „მასწავლებელთა და მოსწავლეთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების“ კანტორაშია გამოკიდებული (გრაფის ქუჩა, სახლი ტერ-ნიკოლოსოვისა). წესდება, როცა 50 კაცი მოაწერს ხელს, ტფილისის გუბერნატორს წარედგინება დასამტკიცებლად.

*** ხმა დადის, რომ ამიერ კავკასიაში მიწის მზომელ მმართველობის გამგის ბ-ნ გ. კ. ტკაჩევის ადგილზედ დანიშნული იქმნება ბ ნი მ. ვ. ორლოვი.

*** განჯის გუბერნიის მკურნალი სტ. სოვ. ჩიგიანი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

*** რაც დათბა, მტკვარი თანდათან ჰმატულობს. ამ ორ-სამს დღეს წყალმა 2½ არშინზედ აიწია.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ საჭიროდ იცნო ტყის მცველთ თვალყური ადევნონ იმ ძვირფასს ხეებს, რომლებიც სოხუმის ოლქის გლეხთა მამულებშია დარგული, სახელდობრ კაკალსა, ალვის ხესა და სხვათა...

*** „ტფილისის სამოქალაქო საზოგადო ბიბლიოთეკის“ წესდება უკვე დამტკიცებულია და ქალაქის გამგეობა კომისიასთან ერთად შეუდგება ამ ბიბლიოთეკის დაარსებას.

*** ქალაქის ცხენის რკინის გზების მეთვალყურე კომისიის წევრმა ნ. თამამშევმა წარუდგინა კომისიას მოხსენება შესახებ იმისა, რომ ავჭალის ცხენის რკინის გზა საზოგადოების მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს და ამიტომ მოვითხოვოთ, რომ მეორე ლიანდაგიც გამართონ ამ გზაზეო.

*** „Бир. газ.“ სწერს: უკვე გადაწყდა, რომ სახელმწიფო ხაზინამ სამის წლის განმავლობაში (1900 წლიანად) ამიერ-კავკასიის ქალაქებს წელიწადში 94,852 მან. დახმარება უნდა აღმოუჩინოს ჯარისათვის სადგომების დასაქირავებლად. ყველაზედ დიდი თანხა მიეცემა ტფილისს, სახელდობრ 68,852 მანეთიო.

*** დ. ზუგდიდი, (სამეგრელო). პირველ მაისის დღეობისათვის ზუგდიდელ ვაჭრებს და მცხოვრებთ გარდაწყვეტილი აქვთ, როგორც უწინ, ისე წრეულსაც გაჰმართონ ცხენის მარულა და ბურთაობა. შუა „ბულვარში“ 24 კაცი მუსიკას დაუკრავს და დრო გამოშვებით გურულ-მეგრული ხორო იმღერებს. შემდეგ საათის მესამეზედ დაირაზმება ხალხი გაღმა-გამოღმა დუქნებთან და გაიმართება მარულა რამდენისამე ცხენით, ხოლო მეორე დღეს გაიმართება ბურთაობა.

*** თელავი. კვირას, 22 მარტს თელავის საქ. მოქ. თეატრის დარბაზში საქველ მოქმედო აზრით სცენის მოყვარეთ ბ-ნ ილ. ზარაფიშვილის მეთაურობით გამართეს ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს „ინჯინერი ან დოხტური“, კომედია ქ-ნ აზიანისა და მეხუთე მოქმედება ვ. გუნიას „და ძმიდგან“. თუმცა კარგი დ[illegible]ი იყო, მაგრამ საზოგადოება წარმოდგენას ცოტა დაესწრო, ნახევარი ბილეთები გაუყიდველი დარჩა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით ქების ღირსია ქ-ნი ზარაფიშვილისა, რომელმაც მშვენივრად შეასრულა სალომეს როლი და საზოგადოებაც დიდად ასიამოვნა. კარგად ითამაშეს აგრეთვე ქ-ნებმა გლურჯიძისამ, პარასკებამ და იაშვილისამ. „და ძმაში“ გაიოზის როლს თამაშობდა ბ. სულხანიშვილი, რომელსაც როლი არ უხდებოდა.

*** სოფ. სურება, (ოზურგეთის მაზრა). კაი ხანია რაც ჩვენს სოფელში ორ-კლასიანი სკოლა არსებობს. ამ სასწავლებელში ექვსი წელიწადი იმსახურა მასწავლებლად ბ-ნმა ის. რამიშვილმა, რომელმაც ამ ჟამად თავი დაანება სამსახურს და მით დაგვაღონა სურებლები. სხვათა შორის 7 აპრილს მთელის სოფლის მცხოვრებლები ერთად შეიკრიბნენ და სთხოვეს ბ-ნს რამიშვილს, რომ დაჰბრუნებოდა სასწავლებელს, მაგრამ სხვა-და-სხვა ხელ-საყრელ მიზეზებისა გამო უარი განუცხადა ხალხს.

*** დუშეთი. ამას წინათ „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ სოფ. ნატახტარისა და კობიაანთკარის ეკლესიები გაჰქურდეს, ხოლო ბოროტ-მომქმედები-კი ჯერ ვერ უპოვიათო. ეხლა აქაურმა პოლიციის მოხელემ ბ-ნმა ნ. მ. კობიაშვილმა აღმოაჩინა ნატახტარის ეკკლესიის გამქურდავი ბოროტ-მოქმედნი: სოფ. ძალისში მცხოვრებლები როსტომ ვალიშვილი, მარკოზა ცაბოშვილი და დროებით ამავე სოფელში მცხოვრები ნავლიაანთ კარელი გიორგი ირემაშვილი, რომლებიც გამომძიებელმა ამ საქმის გამო კიდეც დაამწყვდია ციხეში. როგორც ამბობენ, ამ საქმეში კიდევ სხვაც რამდენიმე ბოროტ მოქმედი ურევია. ეკკლესიიდგან მოპარული ნივთები, სულ 300 მ. ღირებული, უპოვიათ ძალისელის ვანო ბედოშვილის სახლში, რომლისთვისაც ეს ნივთები მიუბარებია ერთს ქურდთაგანს, სახელდობრ მარკოზ ცაბოშვილს, ხოლო ხალიჩა ამავე ეკკლესიიდგან მოპარული, იპოვეს დოდელა ვალიშვილის ხელში, რომელსაც ეს ხალიჩა ქურდებისაგან უყიდნია 25 მანეთად. სხვისთვის მიუბარებია სოფელს დამპალაში დასამალად.

ბ-ნმა ნ. მ. კობიაშვილმა ამ საქმის გამოკვლევის დროს მიაგნო კობიაანთკარის ეკკლესიისა და აგრეთვე ბოდორნის ეკკლესიის გამქურდველების კვალსაც; ეს უკანასკნელი ქურდობა მოხდა ამ ექვსისა თუ შვიდის წლის წინად და ბოროტ-მომქმედთ ბოდორნის ეკკლესიიდგან წაიღეს თურმე მრავალი ძველი ძვირფასი ნივთი ბოდორნის ღვთის-მშობლის ხატისათვის შეწირულები ძველად ჩვენის მეფეებისა და წარჩინებულთაგან, ხოლო ბოროტ-მომქმედნი დღეს აქამომდე არ იყვნენ აღმოჩენილნი.

ამ უკანასკნელის შვიდი რვა წლის განმავლობაში ხუთმეტამდე ეკკლესია გაიქურდა ჩვენს მხარეში, და აქამომდე არც ერთი ამ ავაზაკობის ჩამდენთაგანი არა ყოფილა აღმოჩენილი და დასჯილი, ასე რომ ბ ნის ნ. მ. კობიაშვილისგან დღეს ამ ბოროტ-მომქმედთა აღმოჩენა, რომლებსაც ეკკლესიების გაქურდვა და სიწმინდეთა ავაზაკურად შეურაცხება ხელობად გაუხდიათ, პირველი მაგალითია და მით უფრო საქებური.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს:

კნეინა ვარო ვაჩნაძისამ—2 აბრეშუმის მუთაქა და ერთი ნაკერი ბალიში.

თავად შაქრო ი. ვაჩნაძემ—შოთა რუსთაველის სურათი აბრეშუმზედ ნახატი და ბალიშის პირი აბრეშუმზედვე ნახატი.

თებრონია ალექსანდრეს ასულმა ნაცვალოვისამ — აბრეშუმის ქოლგა, ცხვირ-სახოცების ჩასაწყობი, ორი ქისა და ნაკერი ბალიში.

ელისაბედ ჩიტაძისამ— ხუთი ნაქსოვი ქისა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ბახვი**, 10 აპრილი. სახელოვანმა და შესანიშნავმა მამულიშვილმა გაბრიელმა, ეპისკოპოსმა იმერეთისამ საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისთანავე ყურადღება მიაქცია თავის სამშობლო სოფლის ბახვის საჭიროებათ და ამ სოფლის საკეთილდღეოდ ბევრი იმოღვაწა. დაუარსა სკოლა, აღუშენა ქვითკირის ეკკლესია, წყალი გამოიყვანა და მრავალი სხვა. ამ ჩემს მოკლე წერილში მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო დღეს ბახვის ორ-კლასიან სკოლას. აგერ ოცდა-ხუთი წელიწადი სრულდება, რაც ეს სკოლა დააარსა ეპისკოპოსმა გაბრიელმა, და ნაყოფიერადაც ჰმოქმედობს იგი. აქამდის ეს თავისი ნაყოფიერ მოქმედებით მთელს გურიაში შესანიშნავი სკოლა იყო, მოთავსებული უბრალო, სკოლისთვის მოუხერხებელ ორ სართულიან შენობაში, ეკკლესიის ეზოში. ახლა შენდება და ამ მოკლე ხანში უნდა შესრულდეს საკმაოდ დიდი და სკოლის მოთხოვნილების შესაფერად აშენებული სასკოლო ორ-სართუ-

---

თები მეცნიერების ისტორიამ მრავლად იცის. ჩვენ აქ ამოვწერთ არა-მეცნიერის, მხოლოდ ისეთის მწერლის სიტყვებს, რომელსაც არ ეკადრება, რომ ტრაბახა მეცნიერმა ჩექმებიც-კი დაჰხადოს.

„ლავუაზიე იყო უბრალო ვაჭარი, დირექტორი ერთის კომერციულ საქმისა, მაგრამ... მან შეჰქმნა ჩვენის დროის ქიმია, და არავის ევროპაში აზრადაც არ მოუვა, უარ ჰყოს მისი ღვაწლი მეცნიერების წინაშე მისთვის მხოლოდ, რომ ის ვაჭარი იყო და დრო არ ჰქონდა სპეციალურად ქიმია შაესწავლა“.

ევროპაშიო! აბა დაეკითხნენ ბ. ნ. მარრს.

„ვილჰელმ ჰუმბოლტი დიპლომატი იყო და მინისტრი, მაგრამ მან დასწერა გენიალურნი თხზულებანი ფილოლოგიის საგნებზედ,—ხოლო არავის ფიქრადაც არ მოსვლია, უარ ეყო მისი ღვაწლი იმიტომ, რომ ჰუმბოლტს არ ეცალა სპეციალურად ფილოლოგიის სწავლას შესდგომოდა: ის სწერდა დეპეშებს და საქმის ქაღალდებს რეზოლიციებს აწერდა“.

არავის ფიქრადაც არ მოჰსვლიაო! აბა ეკითხათ ბ. ნ. მარრისთვის.

„ანკეტილ დიუპერრონი უბრალო ზღვის ჯარის-კაცი იყო, მერე მსახური ინდოეთში,—მაგრამ მან პირველმა შეისწავლა ზენდური ენა და გააცნო ევროპას ცეცხლის თაყვანისმცემლების ცივილიზაცია,—და კიდევაც არავის არ მოჰსვლია თავში ის სულელი აზრი, რომ ეთქვათ: სადა სცალიან ჯარის-კაცსა და ლაქიას მეცნიერებისთვისაო“.

არავის არ მოჰსვლია ის სულელი აზრიო! აბა ეკითხათ პრივატ-დოცენტ მარრისათვის.

„იაკობ ბემი იყო ხარაზი, ძლივს ისწავლა წერა-კითხვა; სიკვდილის ჟამამდის ჩინებული ხარაზი დარჩა,—მაგრამ მასთან დასწერა გენიალურნი ფილოსოფიურნი თხზულებანი,—და კვლავ არავინ უარს არა ჰყოფს მისს შრომას, აქა და ის ხარაზის დაწერილიაო“.

კვლავ არავინ უარს არა ჰყოფსო! აბა ეკიკითხათ არმენისტის ბ. ნ. მარრისათვის.

და ისეთს ნიჭიერს კაცს, მწერალს, პოეტს, როგორიც არის ბ. აკაკი წერეთელი „ძალად მეცნიერი“ ბ. ნ. მარრი აი რა სიტყვებით უკრძალავს წერას „თავის სპეციალურ“ საგანზედ:

„Акакій взялся судить о такомъ дѣлѣ, о какомъ не имѣетъ ровно (ეს „როვნო“ რაღა ცეცხლია!) никакого понятія“. ცოტა შემდეგ: „Онъ вторгается въ нашу область“. . და სხვა.

ეს, ჩემო ბატონებო, მეცნიერება კი არ არის, ალვირ-აშვებული თამამობაა; ტრაბახობაა, რომელსაც ჭეშმარიტს მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. და რაც უფრო ყველაზედ საკვირველია, ეს ისა, რომ ბ. ნ. მარრი აკაკისვე უწუნებს „კილოს“ წერისას. აბა ამაზეა ნათქვამი, ჩემი არ გითხრა—გული რით დაგწვაო.

### II

ბ. ნ. მარრი ათჯერ და ოცჯერ იმეორებს თავის წერილში, რომ მე მხოლოდ მეცნიერება და სიმართლე მალაპარაკებსო. ჩემთვის სულ ერთიაო, რა განწყობილება აქვთ ეხლა ქართველებს და სომხებსაო; მე არმენისტი ვარო და ჩემი საქმე ისტორიაა სომხეთისაო; მე, როგორც მეცნიერი, სიმართლეს ვეძებო და აღვიარებ ამ სიმართლეს მიუხედავად იმისა, ვისთვის იქნება იგი სასიამოვნო და ვისთვის არაო [2]). ეხლანდელ პატრიოტულ და ეროვნულ ინტერესებთან მე საქმე არა მაქვსო. მე მეცნიერი ვარ და საგანი ჩემის კვლევისა ხალასი სიმართლე არისო.

ჩვენა ვნახავთ შემდეგში, რომ ესეც ბ. ნ. მარრის „მეცნიერული“ ტრაბახია და სხვა არაფერი; მიუხედავად ამ მიკიბ-მოკიბისა ცხადათ სჩანს, სადაც სტკივა „მეცნიერს“ ჰიანი კბილი. ეს მასლაათი მხოლოდ მალაყებია „მეცნიერისა“ მკითხველის წინაშე. სამწუხაროდ მისდა, იმედი გაუცრუვდა და თუ ყველა არა, ისინი მაინც, ვინც კრიტიკულ მსჯელობას დაჩვეულია, მიხვდნენ, თუ რის თქმა ჰნებავდა ბ. მარრს. საგანი ჩვენი დღეს არის, დავანახოთ მკითხველს, რომ ბ. მარრზედ და „მეცნიერებაზედ“ ზედ გამოჭრილია რუსთველის სიტყვები:

„იგი სხვაა......
შუა უძევთ დიდი ზღვარი“.

კამათი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ აკაკიმ თავისს „კრებულში“ (იანვრის №) დასწერა, სხვათა შორის, სომხებზედ: „თუ გულ-და-გულ გადავავლებთ თვალს ისტორიას, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ხალხი (სომხები), სადაც-კი შეხიზნულა და თავი შეუფარებია, ცოტა სულის მობრუნების შემდეგ, დაპატრონება მოუნდომებია, თავიც იქაურ მკვიდრად აღუარებია და ბოგანოდ მოსულობა გადაუფუჩეჩებია. მიუხედავად ქართულ-ბერძნულ ისტორიის წყაროებისა, მათმა ისტორიამ მეფის წართმევაც-კი მოგვინდომა და დიდი დავით კურ-პალატი თავის მეფედ აღიარა, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ ქვეყანა დაერწმუნებინა: თუ მეფე ჩვენი იყო, მაშასადამე მისი სამფლობელოც სასომხეთო ყოფილაო. მომავლის გასაკვლევად სხვისი წარსულის მისაკუთრება და მისივე ყოფილის უარის ყოფა უპირველეს ხერხად უჭირავთ ხელში“,

აი ეს გახლდათ პირველი მუხლი აკაკის საბრალ-მდებლო ოქმისა. მას მოსდევენ სხვებიც.

ბ. ნ. მარრმა, აკაკის „მეცნიერმა“ კრიტიკოსმა, დიდის ფახი-ფუხით გამოაცხადა, რომ მე „ჩვენის მეცნიერების“ კრიტიკით განვიხილავ აკაკის წერილსა და სულ ზურგზედ ბოლს ავადენო. საგნად თვისის გამოკვლევისა, ვითარცა მეცნიერმა, აიღო დანგრევა აკაკის წერილის ისტორიულ საფუძვლებისა. რაც შეეხება მისს აზრსაო (мнѣніе), იმასთან ჩვენ საქმე არ გვაქვსო; საქმე ის არის,

[2]) აი მისი სიტყვები: „Акакій взялся судить о такомъ дѣлѣ, о какомъ онъ не имѣетъ ровно никакого понятія. Если бы Акакій на самомъ дѣлѣ обсуждалъ вопросы „сегодняшняго дня, а не минувшихъ вѣковъ“, то еще разъ повторяемъ, насъ и не было-бы слышно. Но онъ вторгается въ нашу научную область, желая свои современные, національно-патріотическіе и житейскіе взгляды, быть можетъ, и нелишенные правдивости—это стоитъ внѣ нашихъ интересовъ—положить въ основу при рѣшеніи вопросовъ о прошломъ, и этого пріема никакъ нельзя оправдать.“ „Нов. Обоз.,“ № 4892.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანი შენობა, რომლის ქვედა სართულში იქნება მოთავსებული კლასები, ხოლო ზედაში—მასწავლებლები. სკოლას ჰყავს სულ ექვსი მასწავლებელი: ერთი საღმთო სჯულისა, სამი საგნებისა, ერთი სპეციალისტი აგრონომი და ერთიც დურგალი. სკოლის საშუალებას 2524 მ. შეადგენს: საზინიდგან სკოლას წლიურად 1,100 მან. ეძლევა (ამ მოკლე ხანში დაენიშნა), გაბრიელის თანხის სარგებელი 744 მ. და ბახვის საზოგადოება აძლევს 680 მანეთს. სკოლას სამეურნეო და სადურგლო განყოფილებანიცა აქვს.

მე როგორც ნამდვილად ვიცი, ამ სკოლაში კურს დამთავრებულთ უნდოდათ შეძლებისა და გვარად ედღესასწაულათ ოც-და-ხუთის წლის იუბილეი სკოლის დაარსებისა და ეცათ პატივი სკოლის დამაარსებელ ეპისკოპოსის გაბრიელისათვისაც. გარნა საყვარელის მამისა და მოძღვრის უდროო სიკვდილმა ხელი შეუშალათ და ამის გამო თავისი უგულითადესი წადილი ვეღარ შეასრულეს. ჩემის ფიქრით, ეს თავისი წადილი დღეს შეუძლიანთ სანახევროდ მაინც შეისრულონ. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ მოკლე ხანში სკოლა გადავა ახალ შენობაში, რომლის კურთხევასაც ამ გაზაფხულზედ აპირებენ. აი, ეხლა შესაფერი შემთხვევა ეძლევათ აღმზრდელ სკოლას მადლობა გადაუხადონ და პატივი სცენ. იუბილეის გადახდა სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ძნელი იქმნება. ან რა საჭიროა? საქმე უფრო შინაურულად გათავდება. ჩემის ფიქრით, ნეტარ-ხსენებულის გაბრიელის და მის მიერ დაარსებულ სკოლის პატივისცემა და მადლობა იმითი შეიძლება გადაიხადონ აქ კურს-დამთავრებულთ, რომ ყველამ სკოლის საჭიროებისთვის თავისი წვლილი გამოიღოს: ამით საკმაოდ ბლომა ფული მოგროვდება. ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში ამ სკოლაში კურს დამთავრებულთ ორთას შუა რიცხვით თითომ ხუთ-ხუთი მანეთი რომ მიაწოდონ თავისის ჯიბიდგან, თუ ნაცნობთ შორის ხელის მოწერით, ამით ორას თუმნამდე მოგროვდება, რითაც სკოლას შეეძლება მიეცემა ერთად-ერთი თავისი საჭიროება დაიკმაყოფილოს. აქ კურს-დამთავრებულნი არიან გაფანტულნი ჩვენის სამშობლოს დიდრონ ქალაქებში და ბევრს მათგანს კარგი შეძლება აქვს. იმათთვის ათიოდე თუმნის გაღება, ანუ შეგროვება ძნელი არ არის. ამიტომაც, თუ ამ საქმეს მოთავე ეყოლა, სასურველად დასრულდება. თუ ერთმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა ამდენ კაცს მისცა საშუალება სკოლის დაარსებით ესწავლათ ცოტა რამ და სიბნელიდგან სინათლეში გამოსულიყვნენ, მათ, მისს სულიერ შვილებს, არ შეუძლიანთ თავისი საყვარელი მამა-აღმზრდელის სახსოვრად ცოტა რამ გამოიღონ და მის პატივ-საცემად ბახვის სკოლა ფეხზედ დააყენონ? მერწმუნეთ, ეს უღრმესი მისი პატივისცემა იქმნება, მათთვის კი ეს ბევრს სამწუხაროს და სავალალოს არ შეადგენს. სასურველია, რომ შენობის კურთხევის დღე გაზეთების შემწეობით გამოქვეყნდეს, რათა ვისაც სურს შემწეობა აღმოუჩინოს სკოლას, იმათ შეიტყონ ეს ამბავი.

ჰამუთ-ბეი

# რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საბჭომ ნება დართო მეაფთიაქეებს მსურველთ ურეცეპტოთ აძლიონ ხოლმე იოდი აფთიაქიდგან.

— სასულიერო უწყებამ განმარტა, რომ საეკკლესიო კრებულმა ყოველგვარ თხოვნით თავიანთის ყოფა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯამაგირების მომატებისა და სხვა დახმარების შესახებ უნდა მიჰმართონ ხოლმე თავიანთ პირდაპირ მთავრობას და არა უწმიდესს სინოდსაო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო ამ ზაფხულს შინაურ პირუტყვისა, თესლეულობისა და სამეურნეო იარაღების გამოფენა იქმნას გამართული ქ. იურიევში (დორპატში).

# უცხოეთი

—

**ისპანია და შეერთებული შტატები.** როგორც ამერიკიდგან უკანასკნელად მოსულის ცნობებიდგან სჩანს, ამერიკის მთავრობა ჯარს გაცხარებული უყრის თავს ახალ ორლეანსა, მობილესა და ტამპში, რომ აქ გემებში ჩასხას და გაისტუმროს სხვა-და-სხვა ადგილას. ამერიკის სამუდამო ჯარი გაფანტულია უზარ-მაზარ სახელმწიფოს ქალაქებსა და სოფლებში, ამიტომ იმათ თავის მოყრას კარგა დრო დასჭირდება. მაინც მთავრობას იმედი აქვს, რომ რვა ან ათი დღის განმავლობაში სამუდამო ჯარს თავს მოუყრის და გაისტუმრებს საომრად. გარდა სამუდამო ჯარისა მთავრობას აზრადა აქვს შეადგინოს მილიციონერთა და თავისუფალ მეომართა ჯარები. განზრახულია მილიციონერთა რიცხვი 400,000 კაცზედ ნაკლები არ იყოს. თუმცა უმთავრესად ბრძოლა ზღვაზედ იქმნება, მაგრამ შეერთებული შტატებისათვის მაინც ბლომა ჯარია საჭირო, თავისის სახელმწიფოს სანაპირო ადგილების დასაცველად, რადგანაც ისპანია, როგორც იუწყებიან, უმთავრესად ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებს მიაქცევს ყურადღებას და სამხედრო ხომალდებს იქ გაგზავნის ალყის შემოსარტყმელად. ამ ჟამად-კი შეერთებულის შტატების არც ერთი სანაპირო ქალაქი არ არის შესაფერად გამაგრებული და თითქმის არც ერთში არ უყენია საკმაო რიცხვი მეციხოვნეთა. თუ მთავრობამ ეხლავე არაფერი იზრუნა, ისეთი დიდი და სავაჭრო ქალაქები, როგორც მაგალითად, ნიუ-იორკი, ფილადელფია, ბალტიმორა, ვაშინგტონი, ჩარლსტონი, სავანნა, ახალი-ორლეანი ღვთის ანაბარა დარჩებიან და ისპანიის გემებს ზღვიდგან ადვილად შეეძლებათ მათი განადგურება ყუმბარებით. ფლოტი ვერ დაიცავს ამ ქალაქებს, რადგანაც ფლოტის უმეტესი ნაწილი კუბაში იქმნება გასტუმრებული, რომ ეს კუნძული ისპანიას მოსწყვიტოს, ხოლო დანარჩენი ყველა ქალაქს ვერ გასწვდება. კუბის გარდა შეერთებულის შტატების მთავრობას აზრადა აქვს რამდენიმე სამხედრო გემი ფილიპპინის კუნძულებისკენაც გაგზავნოს.

გაზეთები იუწყებიან, რომ ომის დროს შეერთებულის შტატების ხმელეთის ჯარის მთავარ-სარდლად სამუდამო ჯარის აწინდელი უფროსი გენერალი ა. მაილსი იქმნება დანიშნულიო. გენერალი მაილსი შთამომავლობით ინგლისელია. მან პირველად ამერიკის ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატების უკანასკნელ ომის დროს ისახელა თავი. შემდეგ ხშირი შეტაკება და ბრძოლა ამერიკის ინდოელებთანა ჰქონდა ხოლმე. გაზეთების სიტყვით, მაილსმა უკვე შეადგინა შტაბი და ჯარის ნაწილის უფროსად, რომელიც კუბაში იქმნება გაგზავნილი, დანიშნულ იქმნა უესლეი მერრიტი, ხოლო იმის თანაშემწედ ჰავანის ელჩი გენერალი ლი. რაც შეეხება ფლოტის დაწვრილებით განაწილებას, ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის. ამბავი მოვიდა მხოლოდ, რომ იგი სამ ესკადრად იქმნება განაწილებული. ყველაზედ მეტი სამხედრო გემი ამ ჟამად კეი-ვესტშია გაჩერებული.

რაც შეეხება ისპანიას, გაზეთების სიტყვით, როგორც უკვე ვსთქვით, იგი უმთავრეს ყურადღებას ამერიკის ქალაქებსა და იმის სავაჭრო გემებს მიაქცევს. აზრადა აქვს კუბაში სრულიადაც არ გაგზავნონ ჯარი და ფლოტი; კუნძული იმ ჯარისა და გემების ანაბარა იქმნება დატოვებული, რომელიც ამ ჟამად იქ არის. ისპანიას იმის იმედიც-კი აქვს, რომ კუბის მეამბოხენი ჩვენ ჯარს მიეშველებიან და არა ამერიკისას, როგორც ამას ამერიკის მთავრობა ჰფიქრობსო. ისპანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკის კონგრესის უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მეამბოხეთა შორისაო. ამის მიზეზი ის იყო, რომ კონგრესმა თავისი წინანდელი გადაწყვეტილება, რომელშიაც ნათქვამი იყო, „კუბა დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იყოს“ შესცვალა და ამის ნაცვლად დაადგინა „კუბას თავისუფლება უნდა მიენიჭოსო“. აქედგან სჩანსო, უთქვამთ მეამბოხეთ, რომ ამერიკელებს აზრადა აქვთ ჩვენი კუნძული ისპანიას გამოჰგლიჯონ ხელიდგან და შემდეგ თვით დაისაკუთრონო. იმავე გაზეთების სიტყვით, მეამბოხეთა და კუბაში მყოფ ისპანიის ჯარის უფროსებს შორის მოლაპარაკება უკვე დაიწყო. მეამბოხენი თანახმანი არიან ამერიკელების წინააღმდეგ იბრძოლონ იმ პირობით, თუ შემდეგ ისპანია კუბას თვით მმართველობას მიანიჭებსო.

# სასამართლოს მატიანე

ციმბირიდგან გამოქცეულ გლეხის დავით პარასტაშვილის საქმე.

გუშინ წინ, 14 აპრილს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე გლეხის დავით პარასტაშვილისა, რომელსაც ისა ჰბრალდებოდა, რომ კატორგიდგან გამოიქცა და პოლიციელის მოკვლა განიზრახაო. პარასტაშვილს 1893 წელს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიამ დუშეთში ავაზაკობისათვის გადაუწყვიტა ყოველის უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 12 წლით გაგზავნა. სახალინის კუნძულიდგან, სადაც გაგზავნილი იყო, პარასტაშვილი აღმოსავლეთ ციმბირში გადაიყვანეს ციმბირის რკინის გზაზედ სამუშაოდ, საიდგანაც ის გაიქცა და ტფილისში ჩამოვიდა. აქ პარასტაშვილი იცნეს და, როდესაც 1897 წლის აპრილს აპატიმრებდნენ ალექსანდრეს ბაღში; პოლიციელის მოკვლა განიზრახა. ბრალდებული უარს ამბობდა, რომ მე პარასტაშვილი კი არა, სპარსეთის ქვეშევრდომი მეშიდი-საფარიბეგოვი

---

ჩვენ საბუთები გამოვაცალოთ ხელიდამაო [3]).

გამოაცხადა რა, რომ აკაკის „ДАННЫЯ“ სულ არ ვარგანანო, შემდეგ შეუდგა მათ განხილვას მუხლობით. სწორედ ჭეშმარიტი ხერხია მეცნიერულ კრიტიკისა. სწორედ მეცნიერულად მოიქცა ბ. მარრი, რომ აკაკის წერილი მუხლებად დაჰყო, თვითოეულს მათგანს ცალკე შეეკამათა.

მხოლოდ ეს-კი არ არის მეცნიერული ხერხი, რომ პირველი, ზევით ამოწერილი, მუხლი სრულებით გამოსტოვა მეცნიერმა მარრიმ; ჩაყლაპა ისე, ვითომც აკაკის იგი არც-კი დეეწეროს. ამას რა სახელი ჰქვიან მეცნიერების ენაზედ, მიგვინდვია გამოიცნოს თვით არმენისტმა ბ. მარრიმ.

რასაკვირველია, ასეთი ,,მეცნიე-

[3]) საჭიროდ მიგვაჩნია ეს ადგილი აქ ამოვწეროთ: „Акакій мотивируетъ свои сужденія данными изъ армянской исторіи, армянской литературы и вообще армянской жизни, и вотъ эти то данныя, единственно лежащія въ основѣ мнѣнія Акакія объ армянахъ не выдерживаютъ никакой критики и должны быть оцѣнены по достоинству; что же касается самого мнѣнія Акакія, то мы не имѣемъ никакой претензіи убѣждать кого-либо въ его несостоятельности, такъ какъ... და სხვა.

რული'' მალაყი შეუნიშნავად არ ჩაივლიდა, და ბ. აკაკიმ მოწიწებით ჰკითხა ,,მეცნიერს'': პირველი მუხლი რატომ მიაფუჩუჩეთ, იმაზედ რაღას ბრძანებს თქვენი კარაბადინი-მეცნიერება, აბა ერთი გაისარჯეთ და ჩაიხედეთო.

გამტყუნებული მეცნიერი გაჯავრდა, ძლიერ იწყინა, დაკარგა დარბაისლობაც, ლოღიკაც და ასეთის დაუმსახურებულის აკაკის მიერ მკაცრის კილოთი უპასუხებს: საკვირველი კაცი ყოფილა ეს აკაკიო! ის-კი დიდი პატივი არ არის იმისთვის, რომ ჩვენ ვიკადრეთ მაზედ და მის წერილზედ საუბარიო. ეს საგანი ჯერ მეცნიერულად არ არის გამოკვლეული და მე რა უნდა მეთქვაო [4])! კარგი „მეცნიერული“ პასუხი არ არის? შე კურთხეულის შვილო, თუ არ იცი, — თქვი, არ ვიცი-თქო, რაღას ბაქი-ბუქობ და ნაღარასა სცემ. შენ არ იცი, აკაკისა რა ბრალია, რომ ასე უზრდელად და არა-მეცნიერულად ჰბრძანებთ: იმისიც მადლობელი იყოს აკაკი, რომ ჩვენ ჩვენი მეცნიერული ყურადღება ვათხოვეთ მასაო. თუ არ გნებავდათ პასუხი, ძალას ვინ გატანდათ? მაგრამ ვიცით, ვინც წაიტყუა მეცნიერი პრივატ-დოცენტი...

[4]) მოვიხდით ბოდიშს და ამ მარგალიტსაც სიტყვა-სიტყვით ამოვწერთ, თორემ ბ. მარრი „извращеніе“-ს დაგვწამებს. აი ტრაბახი მისი: „Акакій упрекаетъ насъ въ томъ. что мы не обратили вниманіе на его мнѣніе о Давидѣ Куропалатѣ, какъ будто *недостаточно того, что вобще то мы пожелали обратить вниманіе на его статью*, какъ будто мы обязаны давать догматически опредѣленное мнѣніе по каждому историческому и литературному вопросу, даже такому, который не подвергался всестороннему научному обслѣдованію.“

ბ-ნი მარრი ბრძანებს, ჩვენ არ მივაქციეთ ყურადღება აკაკის МНѢНІЕ-ს დავით კაროპალატზეო. აქ მეცნიერი ურევს ერთი მეორეში МНѢНІЕ-სა და ისტორიულ ამბავს. აკაკი ამბობს, სომხებს უწერიათ ისტორიაშიო, რომ დავით კურო-პალატი იმათი მეფე იყო და არა ქართველებისაო. ერთი მიბრძანეთ, ეს МНѢНІЕ არის? ეს არის ამბავი, რომელზედაც ორი პასუხი ერთად, ჰო და არა, შეუძლებელია. ან მართლა სწერია და ან არა, და ეს მეცნიერ არმენისტს უნდა ალევარებინა. მაგრამ მეცნიერმა პრივატ-დოცენტმა დუმილი ამჯობინა, ვინაიდგან ის „მეცნიერებას“ ემსახურება და არა სომხობას! ისიც გაახსენდებოდა, რომ

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს
კარგისა მამაცისაო“.

ეს ჩვენ გვესმის. ხოლო ის ვერ გაგვიგია, ეს სადაური მეცნიერებაა: შენა სტყუი და შენვე ისაყვედურები და სტრაბახობ!

მეო, ბრძანებს, ვერიდები ისეთს საგანზედ მსჯელობას, რომელიც „не подвергался всестороннему научному обслѣдованію вполнѣ компетентнаго лица''-ო. ესეც უშველებელი ,,მეცნიერული''ტყუილია ბ. მარრისა. ,,ვეფხვის ტყაოსანზედ'' ბევრს компетентный სწავლულს უთქვამს, რომ იგი სპარსულიდამ ნათარგმნი არ არისო, მაგრამ დღეს იგი წინააღმდეგს გაიძახის... და დასძენს, ამის საბუთებს მერე გამოვაქვეყნებო. ესეც ჰგავს რაშიმე მეცნიერულ მსჯელობას? ჭეშმარიტი მეცნიერი ჯერ საბუთებს გამოაცხადებდა და მხოლოდ მას უკან დასკვნას. ბ-ნი ნ. მარრი ისეთი მეცნიერი ყოფილა, რომ წინასწარმეტყველებაც შესძლებია. მაგალითებრ, მან იწინასწარმეტყველა, რომ ბრიტანიის მუზეუმში უნდა იყოს სპარსული ორიგინალი „ვეფხვის ტყაოსნისაო“. არ აღმოჩნდა. ეს შენიშნეს სხვებმა; უთხრეს, რომ მეცნიერს არ შეჰშვენის ასეთი ქარაფშუტობა და წინდაუხედავი სჯა. ცეცხლს იკიდებს, რად შემნიშნეს ესაო, რად უხარიანთ, რომ ჩემი წინასწარმეტყველება არ გამართლდაო. ჯავრობს, თუ თვით მისს შეცდომაზედ რატომ ქვეყანა არა ლოცულობს. ახირებული „მეცნიერებაა“, ნამდვილი „არმენისტობაა“!

აი ასეთის საბუთიანობისა და მსჯელობის კაცი გაიძახის: შორს ყველანი, თქვენ რა იცით, ბრიყვებო, ისტორიისა და ლიტერატურისა, ეგ ჩემი საგანია, ეგ ჩვენს მეცნიერებას ეკითხება და სხვას არავისაო.

დიახ, სასაცილოა, რომ სამწუხაროც არ იყოს! დღეს ყოველი მეცნიერება იმის ცდაშია, რომ განადიდოს წრე თვისის ზეგავლენისა, გაპოპულიარდეს და გადემოკრატდეს იქამდის, რომ ყველას შეეძლოს მისი მიწდომა და გაგება. მეცნიერება არის შექმნილი ხალხისათვის და არა ხალხი მეცნიერებისათვის. ეს იცის ყველამ, ეს იცის მესამე კლასის მოწაფემ. არ იცის მხოლოდ პრივატ-დოცენტმა ნ. მარრიმ. იმას თვისი საგანი მეცნიერებისა რაღაც საიდუმლოება ჰგონია, ჩინეთის კედლით შემოუზღუდავს და კარებთან დიდის კეტით ატუზულა: შორს, არავინ გაბედოთ აქ შემოსვლაო!

ყოველივე თქმული რის მაჩვენებელია: მეცნიერებისა, თუ უმეცრებისა, — ამის გამოცნობა მიგვინდვია ,,არმენისტის'' ნ. მარრისათვის.

მე გახლავარ

(დასასრული იქნება)

ვარო, მაგრამ როგორც პირველ-დასაწყისს გამოძიების, აგრეთვე საქმის გარჩევის დროს მოწმეებმა იცვნეს და განაცხადეს, რომ პარასტაშვილიაო. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ სცნო პარასტაშვილი რომ ციმბირიდგან გამოიქცა და პოლიციელის მოკვლა განიზრახაო და გადაუწყვიტა 90-ჯერ როზგის დაკვრა და კატორგის ვადის გადიდება $12^1/_2$ წლით.

## დამაკვირდი

უკელასთან ტკბილად იყავ, მაგრამ უკელას ნუ გაიმეგობრებ. თუ მეგობარი გამონაცადი გყავს, რკინით მიიმაგრე გულსა შინა, მაგრამ ხელს-კი ნუ გაისვრი და უკელა ვიგინდარას მმად ნუ გაუხდები.

შექსპირი

* * *

თუ უშფოთველად, აუმღვრევლად, ცხოვრების სიმწვავის განუცდელად გინდა განატარო მოხუცებამდე დღენი სიცოცხლისანი, მეგობარს ნუ ეძებ და ნურც ნურავის ეტყვი, შენი მეგობარი ხარო. ნაკლებს ლხინს იგემებ, მაგრამ ჭირიც ნაკლები იქნება.

მაიკოვი

* * *

სურვილი არს მიზეზი ყოვლისა მოსწრაფებისა, ხოლო გულს მოდგინება საქმეთა სრულ ყოფისა.

კათალიკოზი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ძალიან კარგია და გამოსადეგი, ნამეტნავად სოფელში მუშაობის დროს, კაცმა იცოდეს წინად, თუნდ ერთის დღით, მეორეს დღეს რა ამინდი იქნება. ამისათვის აი რა სადა ღონის-ძიებას გვირჩევენ მცოდნენი: აიღეთ პატარა რამ შუშის ჭურჭელი, შიგ მოაქციეთ ერთმანეთში არეული კარგად დანაყილი 2 მისხალი გვარჯილა და 45 მისხალი ნიშადური, ზედ დაასხით 15 მისხალი ჭაჭის სპირტი, თავი გადუკარით შუშის ჭურჭელს ბუშტით, ბუშტი წვრილად დაჩხვლიტეთ. თუ მოსალოდნელია კარგი ამინდი, სპირტი წმინდა და ანკარაა, გვარჯილა და ნიშადური ძირშია უძრავად დალექილი; თუ წვიმაა მოსალოდნელი, ეს ლექი მაღლა ამოვა და ჩავა, სპირტი აიმღვრევა; თუ დიდი ქარი ადგება, ლექი მაღლა ამოვა და ქუდსავით შეიკვრის და სპირტი-კი დუღილს მოჰყვება. გვარწმუნებენ, რომ ამ ყოფით კაცს შეუძლიან შეიტყოს 24 საათს, ანუ, უკედ ვთქვათ, ერთს დღე და ღამ შემდეგ რა ამინდი იქნება. აკი ვამბობთ, წინადღითვე ცოდნა ოცდა ოთხს საათს შემდეგ რა ამინდი იქნება ბევრ რიგად გამოსადეგია, ნამეტნავად სოფლად და, როგორც ეტყობა, ადვილად და იეფად მოსახერხებელიც ყოფილა.

* * *

ამერიკელი რომ ახირებული კაცია, ყველამ კარგად იცის, მაგრამ ახირებაც არის და ახირებაც. კაცმა რომ სთქვას, მთელს ჩემს ქვეყანას ფეხით შემოვივლიო, აქ არაფერი საკვირველი არ იქმნება. ამისათვის საჭიროა მხოლოდ სურვილი, მოცლა და მაგარი მუხლები. ისიც გაგვიგონია, რომ კაცს მოუწადინებია მთელი დედამიწის ზურგი შემოიაროს ან ფეხით, ან ცხენით, ან ველოსიპედით. მაგრამ იმას-კი ვინ იფიქრებდა, რომ ვისმეს ფიქრად მოსვლოდა მთელი ატლანტიის ოკეანე ფეხით გადავლახოო. ასეთი განზრახვა მოსვლია ერთს ამერიკელს, გვარად ოლდრივს. ამ კაცს გაუკეთებია ტყავისა და ხისაგან ადლ-ნახევარ სიმაღლის წაღები; წაღებზე ბუშტები იქმნება მიმაგრებული. ამ ახირებულს კაცს განზრახვა აქვს ფეხით გაიაროს მთელი ოკეანე ქალაქ ბასტონიდგან გავრამდე. ოლდრივი ამბობს, ამ გზას 105 დღეს მოუნდები და თუ ვინიცობაა ოკეანეზე ღელვა ასტყდეს, სულ 5 დღით დავიგვიანებო. ოლდრივს თან გაჰყვება იალქნიანის გემით იმისი მეგობარი ანდრიე და თუ ვინიცობაა ოლდრივს გაუჭირდა რამ, ის დაეხმარება და გემზე აიყვანს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 აპრილი

**პეტერბურგი.** 14 აპრილს, დილის 11 საათზედ, დედოფალმა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავრინამ ოლგა ალექსანდრეს ასულმა დაათვალიერეს იტალიელთა გამოფენა სურათებისა, ორი სურათი შეიძინეს; გასინჯეს აგრეთვე ბარონ შტიგლიცის ხატვის სატეხნიკო სკოლის მუზეი.

14 აპრილს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ, ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული დიდის მთავრინებით ოლგა ნიკოლოოზის ასულისა და ტატიანა ნიკოლოოზის ასულითურთ ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ.

14 აპრილს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზედ, დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული დიდის მთავრინას ოლგა ალექსანდრეს ასულითურთ გატჩინოში წაბრძანდა.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტის ეპისტოლე, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა ფორმალურად იქმნას ომი გამოცხადებულიო, კონგრესს გარდაეცა.

სენატმა და პალატამ შეიწყნარეს განაჩენი ომის გამოცხადების შესახებ.

**კივესტი.** სასტიკი ცენზურაა შემოღებული. ბრძანება გასცეს იმ გემებს, რომელიც გაზეთებს ეკუთვნიან, ნება არ მისცენ ფლოტს გაჰყვნენ.

**ნიუ-იორკი.** „Herald“-ი იუწყება, რომ ჰავანიდგან 10 ვერსის სიშორეზედ ტელეგრაფის მავთულები გადასჭრესო!

**სენ-ვინსენტი.** ისპანიის ესკადრა ჯერ კიდევ აქ არის. ხვალ წავა.

**ლონდონი.** ლლოიდში გამოკიდებული დეპეშა იუწყება: „ისპანიის ექვსი სავაჭრო გემი, ამერიკელების მიერ შეპყრობილი, მალე იქმნება განთავისუფლებული“-ო.

15 აპრილი

**მექსიკა.** გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მექსიკა ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

**ლონდონი.** ოფიციალურ გაზეთებში დაბეჭდილია განცხადება ნეიტრალიტეტის შესახებ.

**ვაშინგტონი.** ზღვათა მინისტრმა გადასწყვიტა გაუგზავნოს ბრძანება მსწრაფლ მოსიარულე ესკადრას დაუყოვნებლივ ზღვაში გავიდეს, რომ შეიპყროს ისპანიის ფლოტი, თუ ვინიცობაა ეს უკანასკნელი ამერიკის ნაპირისაკენ გაემართა.

**ლონდონი.** „ტიმეს“-ში დაბეჭდილი ისპანიის ნოტა სახელმწიფოთა მიმართ, რომელშიაც ისპანია ამბობს რა თავის აზრს უკანასკნელის ამბების შესახებ, აცხადებს რომ სიმართლე და ჭეშმარიტება ჩემ მხარეს არის, ამიტომ ჩემს უფლებაზედ ხელს არ ავიღებ და კუნძულ კუბას არავის დაუთმობო.

**კინგსტაუნ.** (ირლანდია) შეერთებულის შტატების მიერ ნაყიდი მსწრაფლ-მოსიარული ხომალდი „ირელანდ“-ი აქ ადგილობრივმა მთავრობამ შეიპყრო.

**ფლამუტი.** ამერიკის ნაღმიან გემს „ზომერს“ ზღვაში გასვლის ნება არ მისცეს. იძულებული გახდნენ გემზედ ცეცხლი ჩაექროთ და მოსამსახურენი დაეთხოვათ.

**კელნი.** „კელნის გაზ.“—იუწყება: „როგორც ვაშინგტონიდგან მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, შეერთებულ შტატებსა და ინგლის შორის მართლა მორიგება ყოფილა, რომელსაც, რამდენადაც საქმე კაბინეტებს შეხება, შედეგად მათი დაკავშირება ექმნება. იმ ამბავს, რომ შერმანმა თანამდებობას თავი გაანება ამ მოლაპარაკებასთან კავშირი აქვს“.

პეტერბურგის ბირჟა, 14 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 223 |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $99^5/_8$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $100^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 284 | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — „ | — „ | $248^1/_2$ |

## წერილი რედაქციის მიმართ

წინა წლებში, გამოცხადდა თუ არა მაჩხაანის დეპოს მოქმედება, მაშინვე ვაახელი საწევრო ფული, ესე იგი ერთი თუმანი, რომელიც რამდენისამე თვის შემდეგ ისევ უკანვე მომივიდა ჩემ მიერ გაგზავნილი ფული. ეს გარემოება ვაცნობე თქვენს რედაქციას, რის შემდეგაც თქვენსავე გაზეთში წავიკითხე საპასუხო წერილი, რომ დეპოს ჩემგან გაგზავნილი ფული არ მიეღო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მიზეზით და მთხოვდენ ხელ-ახლად გამეგზავნა დეპოსათვის საწევრო ფული. წარსულ წელს, 3 დეკემბერს, გავგზავნე ხუთი მანეთი (რადგან ერთხელ გამოაცხადეს, რომ ხუთ მანეთად გახადეს საწევრო პაიო) ამ ადრესით: Управленіе Кизихскаго Депо-Банка—черезъ г. Сигнахъ, მაგრამ ამ წერილის პასუხი მას შემდეგ არ მიმიღია. აგერ ოთხი თვეა რაც ფული გამიგზავნია ქ. სიღნაღში, რკინის გზის სადგურ აბაშიდგან; რომ ვიანგარიშოთ, მანძილი იქმნება ამ ორ დაბას შუა არა უმეტეს 400 ვერსისა, რომლის გავლა ფოსტას შეუძლიან ერთის კვირის განმავლობაში. ეხლა ვთხოვთ გაზეთის საშუალებით შეგვატყობინონ, მიიღეს თუ არა ფული. თუ საჭიროება მოითხოვს, პირველის მოთხოვნილებისათანავე გამოუგზავნი რედაქციას ფოსტის კვიტანციას, რომ ფული წარგზავნილია.

ელენა დიმიტრის ასული ავალიანისა

# განცხადებანი

ხუთშაბათს, 23 აპრილს, დილის 11 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში გამართული იქმნება

## საერთო კრება

(ხელმეორედ)

იმ „სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა, რომლებიც ქ. ტფილისის ხარჯით ინახება.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1897 წ. ანგარიშისა.

2. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1897 წ. ანგარიშის შესახებ.

3. არჩევანი გამგე კომიტეტის თავმჯდომარისა, კომიტეტის ერთის წევრისა, მდივნისა, ხაზინადრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა იმათ მაგიერ, რომელნიც ეხლა რიგით ანებებენ თავს სამსახურს.

(3—უ—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ცხენების იარმუკობის დებულების თანახმად, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ იქმნა დამტკიცებული, ამა წლის 5 მაისს ქ. ტფილისში გამართული იქმნება ცხენების იარმუკა, რომელიც გასტანს 18 მაისამდის ამ დღის ჩათვლით. იარმუკა გაიმართება დიდუბეში.

(3—ნ.—1)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მმართველობა

ამით აცხადებს, რომ ამა მიმდინარე წლის გაზ. „კავკასის“ № 87, „ქუთაისის საგუბერნიო უწყების“ № 14 და „ივერიის“ № 72-ში დაბეჭდილ ბანკში დაგირავებულ მამულების საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშვნის შესახებს განცხადებაში სხვათა მამულთა შორის მოხსენებულია მამული

სოფიო ნიკოლოოზის ასულის ნაკაშიძისა

და რომ ამ მამულის შესახები განცხადება მართლად არ ჩაითვლება.

(1—ნ.—1)

# „ივერია“

1898 ელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 | 5 „ . . . | 5 „ 50 |
| 10 „ . . . | 8 „ 75 | 4 „ . . . | 4 „ 75 |
| 9 „ . . . | 8 „ — | 3 „ . . . | 3 „ 50 |
| 8 „ . . . | 7 „ 25 | 2 „ . . . | 2 „ 75 |
| 7 „ . . . | 6 „ 50 | 1 „ . . . | 1 „ 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე, — ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქტრის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე. 21.

Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Апрѣля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.